180
ეროვნული ბიბლიოთეკა

№ 173, შაბათი, 19 აპრილი. 1896—1897 შაბათი, 19 აპრილი, № 173.

რედაქცია:
ტფილისი, ფრეილინის ქუჩა, № 13.
ხელის მომწერნი გაზეთის დასაკვეთად მიჰმართვენ რედაქციას დილის 10 საათიდან 3 საათამდე და საღამოს 6—7 საათამდე და „წერა-კითხვის გამავრცელებელ საზოგადოების“ წიგნის მაღაზიას.
ხელმოუწერავ წერილებს რედაქცია არ ჰბეჭდავს.

პირისპირ მოლაპარაკება რედაქტორთან შეიძლება ყოველდღე.
ტელეფონი № 363.

# ცნობის ფურცელი

ყოველ-დღიური სახალხო გამოცემა.

გაზეთის ფასი
ერთის წლით 6 მან., ნახევარის წლით 4 მან.
თითო ნომერი 3 კაპეიკი
ფასი განცხადებისა
ჩვეულებრივი სტრიქონი პირველ გვერდზე 10 კაპ., მეოთხეზე 5 კაპ.

Тифлисъ, Фрейлинская № 13. Редакція
„Цнобисъ Пурцели“.
Телефонъ № 363.

ბიბლიოთეკა

## ხელისმომწერთა საყურადღებოდ

ვისაც ხვედრი ფული არ შემოუტანია მარტში (შეღავათიანის ვადით ხელის-მომწერთ)

## პირველ აპრილიდან გაზეთი არ გაეგზავნება.

დღეიდან გაზეთი წლის დამლევამდე «საქართველოს კალენდრით»

## ღირს ხუთი |5| მანათი.

სათავად-აზნაურო მამულში (ქარვასლაში)
ქირით იძლევა
მშვენიერი, სუფთა, სინათლიანი და ყოველ მხრივ მოხერხებული სადგომები
სავაჭრო მაღაზიებისა და საალებ-მიცემო კონტორებისათვის
(თითო, ორ-ორი და სამ-სამი ოთახი)

**Въ имѣніи Грузинскаго Дворянства**
Отдаются въ наймы
Свѣтлыя, чистыя и весьма удобныя помѣщенія
*подъ конторы, магазины и склады.*
Справляться ежедневно въ конторѣ по управленію имѣніемъ Дворянства
Тифлисъ, Дворцовая. (30—21)

თავ. დიმიტრი მაჭუტაძის და თეიმურაზ ჩაჩავას
ხე-ტყის ქარხანა
კოდორი, სოხუმის ოლქში
ქარხანა ღებულობს ყოველგვარ შეკვეთას დახერხილ ხე-ტყის მასალებისას. ქარხანაში გამართულია საუკეთესო მანქანები და სხვა-და-სხვა მოწყობილობა ამ საქმისათვის.
ერთად-ერთი ქარხანაა მთელ კავკასიაში, რომელიც ამზადებს
წაბლის ფიცრებს
ყოველგვარ ზომისას, 3 არშინიდან მოყოლებული 12-მდე და აგრეთვე სხვა-და-სხვა სისქისას და განისას.
✦ ფასი მასალებისა მეტად იაფია ✦
დამდეგის წლის მაისიდან გაიხსნება უმთავრესი საწყობი ქარხნისა ქ. ბათომში.
მსურველთ შეუძლიანთ ქარხანას მიჰმართონ შემდეგის ადრესით: ოჩემჩირეში თეიმურაზ ჩაჩავას, ბათომში თავ. დიმ. მაჭუტაძეს. ფოსტის ადრესი: Батумъ: кн. Димитрію Мачутадзе, ანუ Очемчиры, Теймуразу Чачава. (300—76)

## რედაქციისაგან

### შეღავათიანი განცხადებანი

„ცნობის ფურცლის“ რედაქცია იმ პირთ, რომელთაც სჭირდებათ განცხადება რაიმე საქმის მოსაპოვებლად, მაგ.: მასწავლებლებს, მოწაფეთ, ექიმებს, ვექილებს, მწერლებს, მთარგმნელებს, წიგნების გამომცემელთ და სხვათა, განცხადებას უბეჭდავს სულ მცირე ფასად: სტრიქონი პირველ გვერდზე 3 კაპ. (ორი შაურის მაგიერად) და უკანასკნელ გვერდზე 2 კაპ. (შაურის მაგიერად).

## ტფილისის ქალაქის გამგეობა

საყოველთაოდ აცხადებს, რომ მსურველთ ყოველ-დღე შეუძლიანთ მიიღონ გამგეობის კანცელარიიდამ აღმომრჩეველთა სიები, გასწორებული თანახმად ტფილისის საგუბერნიო საბჭოს გარდაწყვეტილებისა, რომელიც მოხდა ამ წლის 8 აპრილს. ეს სიები უკანასკნელად შემოწმებულია და დამტკიცებულია ქალაქის საბჭოში ხმოსნების ამოსარჩევად დამდეგის ოთხის წლისათვის (1897—1901 წ.) (3—2)

პირველი კერძო სამკურნალო
ექიმის ნავასარდიანისა
(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ).
ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე. კვირა დღეებს გარდა.
დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი, 11—12 საათ. ამათ, ვისაც სჭირს: სნეულებანი სახირურგიო, ვენერიული (სიფილისი) და შინაგანი.

გ. მ. ჩიქოვანი, 9—10 საათ. სნეულებანი: შინაგანი, თვალისა და ნერვებისა.

მკ. ქალი ა. ი. დუნაევა-რუდენკო 11—12 საათ. სნეულებანი: დედათა სქესისა და ბავშვებისა.

ზ. ი. ბაბანასიანცი.—დილის 10—11 ს. ქალთა სენით ავადმყოფებს, ოთხშაბათობით, პარასკეობით და შაბათობით; და $1^1/_2$—2 საათ. ორშაბათობით, სამშაბათობით და ხუთშაბათობით.

ი. ფ. პროტასევიჩი. 12—1 საათ. სნეულებანი: ყურისა, ყელისა, ცხვირის და გულ-მკერდისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკ.

ა. მ. ზუგინოვი. 12—1 საათამდე. შინაგან, ბავშვთა და ნერვის ავადმყოფობისა, სამშაბათ, ხუთშაბათ და შაბათობით.

ა. ზ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. სნეულებანი: შინაგანი და ბავშვებისა.

საღამოობით:

ი. ფ. პროტასევიჩი. 5—6 საათ. სამშაბათს, ხუთშაბათს და შაბათს.

ა. მ. ზუგინოვი. 5—6 საათ. ორშაბათ, ოთხშაბათ და პარასკეობით.

ბ. ა. ნავასარდიანი. 6 $^1/_2$—$7^1/_2$ საათამდე.

სამკურნალოში გამოიკვლევენ ქიმიურად და მიკროსკოპიულად შარდს, ნახველს, სისხლს, რძეს და სხვ.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით. სამკურნალოს საწოლიცა აქვს ავადმყოფთათვის.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი. (წ.)

სამკურნალო და ამბულატორია
ს. ზ. თოფურიასი
ქუთაისში
სამკურნალოში 40 საწოლია ავადმყოფთათვის. მიიღებიან ავადმყოფნი: შინაგანისა, ნერვების, საქირურგო, თვალისა და დედათა ავადმყოფობისანი.
გადამდებ სენით ავადმყოფნი არ მიიღებიან.
ავადმყოფთ სინჯავენ დილის 11 საათიდგან ნაშუადღევის 3 საათამდე. შინაგანს და ნერვების ავადმყოფობას სწამლობს ს. ზ. თოფურია.
საქირურგიო ავადმყოფობას და სიფილისს—ფ. ა. გერრატი.
დედათა ავადმყოფობას მკურნალი ქალი მ. თ. კოგანი.
თვალების ავადმყოფობას—ი. ა. ვარშავსკი.
ამბულატორიაში არის კაბინეტი, საქიმიო და საბაქტერიოლოგიო გამოკვლევისათვის ელექტრონით წამლობისთვის და მასაჟისთვის.
ამკურნალოს დირექტორი ს. ზ. თოფურია. (წ.)

ანბანი
ქართული გოთიკური
ფასი 5 კაპ.
იყიდება ყველა ქართულ მაღაზიაში.

ქ. ბათომი
მაქვს პატივი ვაუწყო პატივცემულ საზოგადოებას, რომ ჩემს სადურგლო-სახელოსნოსთან ქ. ბათუმში გავხსენი
კუბოების მაღაზია
ერისთავის ქუჩა, სუკიასის სახლი, № 53.
მივიღებ ყველანაირ სადურგლო საქმეს, რომელიც იქნება შესრულებული დანიშნულ ვადაზე სუფთად და სინიდისიერად.
ლუკა თვალაძე.
(8—6)

## კანონი და მთავრობის განკარგულებანი.

—

ტფილისის სახაზინო პალატის უწყება. დიაკვნის შვილი მიხეილ ისიდორეს ძე ჯიბლაძე ჩარიცხული იქმნა დუშეთის მაზრის სახაზინოს კანცელარიის მოხელედ.

## ახალი ამბავი

—

⁂ საგაჭრო და სამრეწველო ამხანაგობები. ყველას ეხსომება იგავ-არაკი საბა-სულხან ორბელიანისა: მეფე ერთი კვდებოდა. სიკვდილის ჟამს მოიწვია შვილები, მისცა კონად შეკრული ისრები და უთხრა: აბა გადატეხეთო. ვერ გადატეხეს. მერე დააშლევინა, და სათვითაოო ისარი დაალეწინა. აი ეს იგავი გაუხდა საფუძვლად ეგრედ წოდებულს „კოოპერატიულ“, ანუ შეერთებულ ამხანაგობებს სავაჭროსა და სამრეწველოს. ასეთნი საზოგადოებანი დღეს უცხონი არ არიან ქართველობისათვის. ამ აზრისაა, სხვათა შორის, ახლად დაარსებული ქართველთა სავაჭრო სახლი ტფილისში სახელწოდებით „შუამავალი“.

მკითხველები მიაქცევდნენ ყურადღებას, რა დიდის თანაგრძნობით ეკიდება ჩვენი რედაქცია ამ ნორჩს, ახალს ამხანაგობას, რაფერის სიამოვნებით აღნიშნავს ხოლმე მისს საარაკო მსწრაფლ-ზრდას და წარმატებას.

მიზეზი ჩვენის თანაგრძნობისა ის არის, რომ ჩვენ ასეთი ამხანაგობები მიგვაჩნია საუკეთესო და ჩვენს გარემოებაში ადვილ და ჭეშმარიტს გზად საეკონომიო ბრძოლაში.

ბრძოლა-კი ქართველის კაცისათვის საეკონომიო სარბიელზედ აუცილებელია. ჩვენის ჩამორჩომის მიზეზი ეკონომიურად აიხსნება ჩვენის ვიწრო შეხედულობით, ჩვენის ერთფეროვანის, ერთის სახის იარაღებით საეკონომიო ჭიდილში. დღემდის ქართველმა კაცმა იცის მხოლოდ ხვნათესვა და ვენახის შემუშავება და საზოგადოდ სასოფლო მეურნეობა. ამტომაც ქართველი კაცი სულ ცას შეჰყურებს და მისი ბედ-იღბალი მთლად დამოკიდებულია იმაზედ, თუ როგორი გამოსავალი ექნება პურსა და ვენახს. თვით მეურნეობა ჩვენი, ვიმეორებთ, ერთგვარია. კახეთმა იცის ღვინო, ქართლმა პური, იმერეთმასიმინდი. მოსცდება ეს დარგი მეურნეობისა და მთელი საქართველოც განსაცდელში ჩავარდება ხოლმე.

პურიცა და ღვინოც აუცილებლად კარგი და საჭირო საგნებია, რომ კაცი ულმობელ ცის რისხვაზედ არ იყოს სავსებით დამოკიდებული. საჭიროა მივსდევდეთ ვაჭრობასა და მრეწველობასაც მით უფრო, რომ ხშირად უხვ-ქირნახულსაც ჩვენი „კულტურული“ მეზობლები ჩალის ფასად ხდიან თვისდა სასარგებლოდ...

— სადა გვაქვს ვაჭრობისთვის და მრეწველობისთვის ფულიო, გვეტყვის ქართველი მკითხველი. აი კიდეც აქ არის ჩვენი უდიდესი შეცდომა. დიახაც, კერძო კაცს, ერთს ვისმეს ძალა არ შეგვწევს და არ შეგვიძლიან, ნაცვლად ამისა შეგვიძლიან ყოველივე საქმე შეერთებულის ძალ-ღონით გავაკეთოთ.

დიახაც, ერთს კაცს, ერთის თუმნიანის თანხით არ შეძლო გაემართა ტფილისის შუა გულში, საუკეთესო ადგილას, გაჩაღებული ვაჭრობა. აისთვის არც ხუთასი თუმანი კმაროდა. მაგრამ აგერ შეერთებულმა ძალამ შეუძლებელი შესაძლისად გახადა. ერთ თუმანს ივანე ჩამოვიდა, ერთს პეტრე, ერთს თევდორე და, აკი მოგახსენებთ, გამართეს მთელს ტფილისში საუკეთესო სავაჭრო სახლი.

ჩვენის ფიქრით, ერთი თუმანი დიდი ფულიც არის. დიდის საქმის დაწყობა შეიძლება თითო მანათის ჩამოსვლითაც.

ამ ოცის წლის წინად ლონდონში დაარსდა სწორედ ისეთი ვაჭრობა, როგორც ჩვენი „შუამავალი“ და თანხა ჰქონდა უფრო ნაკლები, ვიდრე ჩვენებს. დღეს ამ ამხანაგობის მაღაზია მოთავსებულია უშველებელ ექვს-სართულიანს საკუთარს სახლში.

„შუამავალს“ ღმერთმა ხელი მოუმართოს, მხოლოდ ტფილისის ქართველობამ მარტო ამაზედ არ უნდა დაიძინოს. დეე იმ კრებულმა პატივცემულ პირებისამ, რომელთაც ითავეს „შუამავლის“ მოწყობა, განაგრძოს თავისი სამაგალითო საქვეყნო შრომა, გაავრცელოს „შუამავალი“, გახსნას სხვა და სხვა ადგილებში განყოფილებანი, გააფართოვოს ვაჭრობა. დასაწყისი ამ საქმისა საკმაო თავდებია იმისი, რომ მის ბედს ხიფათი არ მოელის.

მაგრამ, განა ეს კმარა? რას აკეთებს დანარჩენი ქართველობა ტფილისისა? რატომ არ გავიჩმუჩნებით, რატომ სხვა ამ გვარს საქმეებს არ იწყობენ?

ტფილისი დედა ქალაქია ქართველებისა, თავია, ჭპირველი მაგალითი საქმი-

ანოზისა თავმა უნდა იკისროს. გარდა ამისა, ტფილისი სავსეა შესმენილის ქართველებით, ბევრი მათგანი უსაქმოდაც დადის; აი, გავაჩინოთ სხვაც საერთო-სამხანაგო საქმეები სავაჭრო თუ სამრეწველო. მოვიხსნათ ჩვენი დამღუპველი ზარმაცობის ნაბადი და ვიწყოთ საქმიანობა. საქმე გააჩენს ფულსაც, ადგილსაც. განა ჩვენ უნდა მოჰარბებული ნასწავლი ყმაწვილები გვყვანდნენ, მაგრამ არ არის საქმე დღ რა გააკეთონ. უნდა გავაჩინოთ, შევქნათ საერთო ღონით საქმე და მიუყენოთ მუშაკნი.

დასასრულ სრული იმედი გვაქვს, რომ ჩვენი მოგონება გაიკვლევს გზას და ჰპოვებს ადგილს ტფილისის ქართველების გულში და შეჰკრებს მათ ერთად ახალის საერთო საქმის დასაწყობათ.

სხვა შემდეგ მოვილაპარაკოთ.

⁂ **გათახსირებული სამართლის გვნესა.** ოროშაბათს ქალაქის საბჭომ უნდა მოისმინოს გამოჩენილი ვაჟკაცობა ბეითალის ვართანიანცისა და დასტკბეს მისის ქველობით. აი რაში მდგომარეობს ვაჟ-კაცობა და გმირობა ბ-ნ ვართანიანცისა, რომელმაც ასე ადვილად უკვდავ ჰყო თავისი სახელი ტფილისის თვით-მართველობის ისტორიაში და რომელსაც ჩვენი გამგეობა, უეჭველია, თავის დროზედ ძეგლს აღუმართავს ქალაქის საყასბოზედ. ამ საყასბოზედ მსახურებდა ერთი უცნობი და საწყალი ახალგაზდა ბიჭი ხევსური ლევა ხუცურაული. საკმარისია მარტო ერთხელ მოჰკრათ თვალი ამ ახალგაზდა სოფლელს, რომ სინიდის ქვეშ ალიაროთ მისი ერთგულება, სიფხიზლე, გაურყვნელობა და ამასთანავე გამრჯელობა. რამდენადაც ჩვენ ვიცით, ეს ჯანით სავსე ბიჭი არა ზოგავდა თავის-თავს, რომ უთქმელად შეესრულებინა ყოველი საქმე, რასაც კი მისი მძიმე სამსახური მოითხოვდა. ხოლო სამსახური მისი იყო ჩვენის ქალაქის ბინძურ საყასბოს „სტოროჟობა“. ამ საშინელს სამსახურში ლევა ხუცურაული სწორედ რომ სისხლითა თვისითა შოულობდა ერთ ლუკმა პურს და უზიარებდა თავის დაქვეითებულ სოფლის ოჯახსა. მისი უფროსები ერთობ კმაყოფილნი იყვნენ ამ ღვთიან კაცისა, მეტარე საყვარელი შეიქმნა იგი თავისის მოუსყიდავის პატიოსნებით მდაბიო ხალხისათვის, რომელთაც მუდამ დღე აქვთ საქმე და დამოკიდებულება საყასბოსთან, როგორც, მაგალითად, საქონლის გამყიდველებს, თვით ყასბებს და სხვებს.

რა იცოდა საწყალმა ხუცურაულმა, რომ ტფილისის გამგეობა თავგამოდებით კიდით-კიდემდე ქვეყნისა ეძებდა ახალს მოადგილეს განსვენებულის ისპანდიაროვისას, რომ სცოდნოდა, წინადვე შეუდგებოდა თადარიგს და ეძებდა სხვა რამ ადგილის შოვნას. მაგრამ არ იცოდა ხუცურაულმა ესა და ამიტომაც შეიქმნა მსხვერპლი თავისის უმეცრებისა. აგერ გაჩნდა საყასბოზედ ბ-ნი ვართანიანცი და მყისვე გადასწყდა ხუცურაულის ბედი—შვიდი დღე ვადა მომიცია შენთვის და მერე-კი თვალით აღარ დამენახვინო და არც დაინახო საყასბო, თორემ ვაი შენი გაჩენის დღესაო—ახარა მას ბ-ნმა ვართანიანცმა. დაღუნა ლევამ თავი, დაიკრიბა გულ-ხელი და ამ ცივ ზამთარს დარჩა უადგილოდ და ულუკმა-პუროდ. მის ადგილზედ მოწვეულ იქმნენ ბ-ნ ვართანიანცის გულის დამატკბობელნი.

ეხლა ბ-ნ ვართანიანცის „საქმენი საგმირონია“ უნდა აღვიდნენ თვით საბჭოს არეოპაგამდე, რომელსაც ლევა ხუცურაული შესჩივის თავის დაუმსახურებელ უბედურებას და ეხვეწება, გაასამართლეთ ჩემი დანაშაული ბ-ნ ვართანიანცის მიმართ და, უკეთუ მრთალი აღმოვჩნდე, დამიბრუნეთ ჩემი ადგილი უკანვე ან სხვა რამ სამსახური მომეცით, ხომ ჰხედავთ მუშაობა შემიძლიან, ხალისი არ მაკლია, ჩემს პატიოსნებაზედ ვერავითარს ეჭვს ვერ აიღებთ და ნუთუ საკადრისია უდანაშაულო კაცის მაგრე უწყალოდ გაუბედურებაო. იმის მეტი დანაშაული ხომ არა მიმიძღვის-რა ბ-ნ ვართანიანცის წინაშე, რომ ღმერთმა ხევსურეთში გამაჩინა და ნუთუ ამის გულისთვის არ უნდა მქონდეს უფლება ყველა მუშა კაცისა, რომელმაც კი თავისის ოფლით უნდა იშოვოს საკვები თვისი. ბ-ნ ვართანიანცის მიერ დაკრულ დაღის შემდეგ ხომ აღარავინ მანდობს რამ საქმეს და რას მემართლებითო.

აი ასეთი მძიმე საგანი აქვს გადასაწყვეტი ჩვენს საბჭოს და ნუ გავამტყუნებთ, უკეთუ ბ-ნ ვართანიანცის საგმირო საქმეს დასძინოს მისი მართლიერება... მახლას...

⁂ **ი. ს. მედვედევის დაბრუნება ტფილისში.** 15 აპრილს პეტერბურღიდამ დაბრუნდა მეურნეობის მინისტრის რწმუნებული კავკასიაში ბ. მედვედევი და შეუდგა თავისს თანამდებობის აღსრულებას.

⁂ **მდ. მტკვრის ადიდება.** ხანგრძლივის წვიმების გამო მტკვარი კალაპოტიდამ ამოდის და შესამჩნევად მატულობს. 17 აპრილს ერთ საჟენზედ მეტი აწეულა კალაპოტიდამ; წყალს მრავალი აყვავებული ხეები მოაქვს ძირიანად მოგლეჯილი, ბოძები, ფიცრები და სხ. რიყესა და ავჭალის ბაღებზე ჯერ არ გადასულა წყალი.

⁂ **ცოფიანი ძაღლისაგან დაკბენილი ქალი.** ამ დღეებში ქუთაისიდამ ჩამოიყვანეს 10 წლის პატარა ქალი კიკიანისა, რომელსაც 26 ნაკბენი აღმოაჩნდა ცოფიანი ძაღლისაგან. საცოდავს, თურმე, თავდა-პირველად მიშველებია სამხედრო ექიმი ბ. შუხოვი და იარები მოუწვავს. ეხლა ავადმყოფი მოიყვანეს პასტერის ამცრელ ქსენონზე ტფილისში და იქ დოქტორმა მონტვილმა შეუხვია ჭრილობები და მერე კიდეც აუცრა ცოფი. ქალის დამკბენი ძაღლის თავიც აქვე მოიტანეს და გარდასცეს გამოსაკვლევად.

⁂ **სამედიცინო დეპარტამენტი** ამ ჟამად ამზადებს პროექტს იმის შესახებ, თუ როგორ უნდა მოიწყოს ექიმობის საქმე კავკასიის სხვადა სხვა გუბერნიებში.

⁂ **ტფილისის ოლქის სასამართლოს განყოფილება,** სამშაბათს 22 აპრილს, მიემგზავრება ქ. დუშეთში, სასამართლოს წევრის ბ. ბოლდირევ ს თავმჯდომარეობით, სისხლის სამართლის საქმეების განსახილველად. ბევრი საინტერესო საქმეები გაირჩევა, თურმე, და სხვათა შორის შაბურიშვილის მკვლელობის საქმეც.

⁂ **ბიბლიოთეკები რკინის გზის ვაგონებში.** კავკასიის რკინის გზის ერთს მოხელეთაგანს განზრახვა აქვს, თურმე, რკინის გზის ვაგონებში მოგზაურთათვის გამართოს ბიბლიოთეკა, რომელშიაც იქნება სხვა-დასხვა ბელეტრისტული თხზულებები და ჟურნალ-გაზეთები. ბიბლიოთეკის სარგებლობისათვის მოგზაურთ გადახდებათ 5—15 კაპ.—ხსენებულ მოხელეს უკვე აღუძრავს კითხვა და შუამდგომლობს კიდეც რკინის გზის მმართველობის წინაშე.

⁂ **თავის მოწამვლა.** 12 აპრილს, საღამოს, თავი მოუწამლავს ყარსის რკინის გზის მოხელის ცოლს ს. ს—სას, ლაბარატორიის ქუჩაზე. საცოდავს, თურმე, ხშირად უსიამოვნობა ჰქონდა ოჯახში თავის გერთან; მის სუსტ ბუნებას და აშლილ ძარღვებს ვერ აუტანიათ ბევრი ტანჯვა და გარდაუწყვეტია თავის მოკვლა; ამ აზრით მას დაულევია კარბოლის სიმჟავე და თუმცა ექიმებს ბევრი საშუალება უხმარიათ, მაგრამ ამაოდ—საცოდავი, მალე მომკვდარა.

⁂ **საქარის საჩქოლეში** დამთავრდა პრაქტიკულად ამერიკის ვაზის დამყნა-დარგვის შესწავლა; ამ გაკვეთილებზე 400 მდე სოფლის მემამულეები, ტფილის საბაღონო სკოლის, ქუთაისის სამეურნეო სკოლის და ყვირილის ნორმალურ სასწავლებლის შეგირდები დაესწრნენ, რომელთაც წაუკითხეს ლექცია იმის შესახებ თუ რა წესით უნდა დამყნა-დარგვა და საზოგადოდ მოვლა ამერიკის ვაზებს და, ამას გარდა, რა ღონე უნდა იღონონ ფილოქსერასთან საბრძოლველად. ლექციის დასრულების შემდეგ გაიმართა „კონკურსი“ ვაზის დამყნისა, რომელზედაც ათმა კაცმა ისურვა მონაწილეობის მიღება. პირველი ჯილდო, ათი მანეთი ფული, მისცეს საქარის საჩქოლის შეგირდს ბაგრატ როფაქიძეს, რომელმაც 1½ საათის განმავლობაში 101 ვაზი დამყნა, მეორე ჯილდო, ხუთი მანათი ფული მისცეს საქარის მცხოვრებს გლეხს ლუკა ლომაძეს და მესამე—ორი დანა (ვაზის დამყნის დროს მოსახმარი) პრაქტიკულ სკოლის შეგირდებს ტრიფონ ლომაძეს და სილოვან ლადიძეს.

საქარის საჩქოლში ამ გაზაფხულში უკვე დაუმყნიათ 80,000 ამერიკის ვაზი.

⁂ **ახალი გამოცემა „ბუნების კარისა“.** ჩვენ მივიღეთ მეცხრე გამოცემა პატივცემულის პედაგოგის იაკ. გოგებაშვილის „ბუნების კარისა“. ეს ახალი გამოცემა იმითი განსხვავდება წინანდელებისაგან, რომ მასში დასურათებულია უკანასკნელი სამი განყოფილებაც, რომელიც წინად უსურათო იყო. ამ სამს განყოფილებაში მოთავსებულია ოც-და-ოთხი ახალი სურათი, სახელდობრ: ქართული გუთანი, ქართული მკა, რთველი, კახელი გლეხი, ალავერდის ტაძარი, ხევსური, ქართლელი გლეხი, სიონის ტაძარი ტფილისში, მცხეთის ტაძარი, იმერელი, გელათის მონასტერი, გურული, მეგრელი, სვანი, სამურზაყანოელი, აფხაზი, წმ. ნინო, წმ. იოანე, გაბრიელი და ექვთიმე ათონის მამანი, მთარგმნელნი ქართულ ენაზედ საღმრთო წერილისა და დავით აღმაშენებელი. ამ ჟამად წიგნს შეადგენს ათი განყოფილება: მოწინავე მოთხრობები, ბოტანიკა, ზოოლოგია, ანტროპოლოგია, წელიწადის დრონი, ბუნების მოვლენანი, საქართველოს გეოგრაფია, ისტორია და ქრისტომატია. წიგნს ბოლოში დართული აქვს წინანდებურად ქარტა საქართველოსი. სახელმძღვანელოს ზედ აწერია რუსულად შემდეგი: Перепечатано безъ перемѣнъ съ пятаго изданія; рекомендовано Ученымъ Комитетомъ Министерства Народнаго просвѣщенія „какъ прекрасное классное руководство къ Грузинскому языку для народныхъ школъ и прогимназическихъ классовъ“. „Одобрено и Святѣйшимъ Сѵнодомъ“.

მთელი გამოცემა „ბუნების კარისა“ ჩასმულია ყდებში და ღირს თითო წიგნი თვრამეტ შაურად. ვინც ათს ცალს იყიდის ერთად, მას წიგნი დაეთმობა ოთხ აბაზად, ვინც ოცსა,—ხუთმეტ შაურად და ვინც ოცდა-ათს ან მეტს იყიდის, თოთხმეტ შაურად.

⁂ **პალტოების ქურდის დაჭერა თეატრში.** ჩვენს სათავად-აზნაურო თეატრში ამ უკანასკნელ ხანებში გახშირდა ზედითი ტანისამოსების ქურდობა, განსაკუთრებით სომხურ წარმოდგენებზე ჰპარავდნენ პალტოებს და სხვა ზედითი ქალისა და ვაჟების ტანთსაცმელებს და ბევრი ზარალი მისცეს თეატრში მოსამსახურეთა გუნდს, რომელთაც ტანთ-საცმელები აბარიათ წარმოდგენების დროს.

გუშინ-წინ, 17 აპრილს, სომხურ წარმოდგენაზე ძლივს დაიჭირეს ერთი ქურდი პეტრუზა სანტრუსოვი, ავლაბრელი ბაყალი, კარგა ლაზათიანად მიბეგეს და მერე პოლიციაში უტკიცეს თავი. ოქმიც შეუდგინეს. იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ პოლიცია ჯეროვანს ყურადღებას მიაქცევს პეტრუზას და იმის ჩვენებით სხვებსაც ჩაიგდებს ხელში და მით გადაარჩენს თეატრში დამსწრე საზოგადოებას ავდარსა და წვიმაში უპალტოოდ, უკალოშოდ და უქუდოთ წასვლას შინისკენ და თვით მოსამსახურეთა გუნდსაც დაიხსნის გამუდმებულის ზარალისაგან, რადგან დანაკარგის ფასს ესენი იხდიან.

⁂ **ახალი წიგნი.** ჩვენ მივიღეთ პაწია წიგნაკი „ასული ლევან მეფისა“, ისტორიული მოთხრობა ალ. მირიანაშვილისა. წიგნაკი მეტად კოპწია და შნოიანია, ღირს ორი კაპეიკი! აი ამისთანა სახალხო გამოცემას ვუსურვებთ სრულს წარმატებას და ხშირ-ხშირად გამოსვლას, რადგან სწორედ ამისთანა შინაარსის და ფასის წიგნაკებით-ღა შეიძლება ჩვენი ხალხი დაეჩვიოს კითხვას. წიგნაკის გამომცემელი ქალთა საზოგადოება სწორედ დიდის ქებისა და მადლობის ღირსია; ეტყობათ, რომ ხალხის მოთხოვნილებაც სცოდნიათ და ამ მოთხოვნილების დაკმაყოფილებაც.

⁂ **ნავთლუღის უკიდურესი მდგომარეობა.** მიუხედავად იმასა, რომ ნავთლუღი ტფილისის ერთი საუკეთესო ნაწილთაგანია ჰაერითა და მდებარეობით, სრულებით უპატრონოდ მიუგდია ქალაქის თვითმმართველობას და არავითარს ყურადღებას არ აქცევს ნავთლუღის მკვიდრთა კეთილ-დღეობას და ავკარგიანობას. ნუ თუ ნავთლუღლები ისეთისავე უფლებით არ არიან შემოსილნი, როგორც ტფილისის სხვა მოქალაქენი? ხომ ისინიც მოქალაქეებად ითვლებიან და ქალაქის სასარგებლოთ ბეგარას იხდიან?—მაშ რა დაიშავეს, რომ მათთვის სისუფთავე არ არის (პირ-იქით ნავთლუღი რაღაც სანავე ორმოდ გადააქციეს და თითქმის მთელი ქალაქის სიბინძურეს იქ უყრიან თავს), თითქო ნავთლუღლებს სოლოლაკელ სოვდაგრებზე ნაკლები ყნოსვა ჰქონდეთ! ნავთლუღში თუმცა აქა იქ სდგას ფანრები, მაგრამ კი არ ანათებენ, არამედ ბჟუტავენ და ჩაქრობას ლამობენ თითქო ნავთლუღლების თვალებს სიბნელეშიაც მხედველობანიჭი ჰქონდეთ! (თუმცა დღეც კი საშიშია კაცმა კისერი არ მოიტეხოს, მაგალ: წმ. ბარბარეს ეკკლესიის მახლობლად ხრამში); ქუჩების თაობაზედ ხომ არა ითქმის-რა და არა: მივიწყებულსა და მიყრუებულს სოფელშიაც-კი სცდილობენ უსწორმასწორო და ურიგო ორღობეები ქუჩა-გზები შეაკეთონ, მოკირწყლონ და მოგზაურთ გაუადვილონ მიმოსვლა; ნავთლუღზე-კი სულ არ ჰფიქრობს ჩვენი თვითმმართველობა! არ ვიცით რას მივაწეროთ ქალაქის გამგეობის ასეთი გულ-ცივობა ნავთლუღისადმი, მხოლოდ ეს-კი ვიცით და ცხადად ვხედავთ, რომ ნავთლუღლები ასეთის დავიწყებით მეტისმეტად დასჯილნი არიან ყოველის მხრით; ხოლო მკვიდრნი-კი უმეტესად ქართველობაა. იქ, ასეთის უწესურიგობის წყალობით, გამრავლდნენ ქურდ-ბაცაცები და ავაზაკები, რომელთაგანაც მოსვენება არა აქვთ იქაურებს; აი მაგალითებიც: აღდგომის წინაღამეს რამოდენიმე ავაზაკი შეცვივდნენ ეკკლესიის დარაჯის დ. ავკსიევის სახლში და გაჰქურდეს; ავაზაკები, თურმე, ისე თავისუფლად დანავარდობდნენ ოთახებში და ხმაურობდნენ, რომ ზევითა სართულში მდგმურს, მღდელს, შეუმჩნევია და ფანჯრიდამ ყველაფერი დაუნახავს. სახლის პატრონი იმ დროს ეკკლესიაში ყოფილა ცისკარზე. მღვდელს დაუწყია ყვირილი და ამ ყვირილის გამო ავაზაკები (ორი კაცი) გაქცეულან; მღვდელს ერთი მათგანი კარგად უცნია; ამ ყვირილზევე მეზობლის ეზოდამ გაქცეულა კიდევ ორი ავაზაკი. ეკკლესიის დარაჯის სახლის გამძარცველები—ცნობილი ავაზაკის კიპუას შვილი გიგოლა არუთინოვი და მისივე ძმის-წული ბაგრია არუთინოვი—შეიპყრეს, მაგრამ რაღაც მიზეზის გამო, ისევ გაანთავისუფლეს და იმავე ავაზაკებმა და სხვეებმაც აღდგომის მეორე დღეს ხ. ფირადოვის სახლიდამ მოიტაცეს გამართული სააღდგომო სუფრა საჭმელებითა და ტკბილეულობით, ხალიჩები და სხვა ავეჯი, მაგრამ ბეწზე პოლიციელი შეესწრო და ავაზაკნი ხელ-ცარიელნი გაიქცნენ. მაგ რაინდების ბუნაგი თათრის აბნოებთან არის ერთ „კულტურულს“ „დუქანში. მთელი ნათლუღის მკვიდრნი აპირებენ ჩივილს, რომ ზემო აღნიშნულნი არუთინოვები გარდასახლებულნი იქმნენ და იმედი უნდა ვიქონიოთ, რომ ადმინისტრაცია არ დასტოვებს უყურადღებოდ მათს საფუძვლიანს თხოვნას და ქალაქის თვით-მმართველობაც შემდეგში მაინც მოწყალე თვალით მიჰხედავს ნავთლუღლებს.

** **ქურდობა დღისით.** ხუთშაბათს, 17 აპრილს, შუადღის პირველ საათზე, სემინარიის პირდაპირ შესახვევ ქუჩაზე გასტეხს სადგომი ლოტის მომუშავეებისა, წაიღეს სხვა-და-სხვა ტანთსაცმელები, ერთი ჩოხა, შიგ ვერცხლის მასრებით, საზაფხულო პალტო, ერთი წყვილი შალვარი, 1 ცალი სერთუკი, 3 მან. და 20 კაპ. ფული. ბევრს სხვა რამესაც წაიღებდნენ, მაგრამ ვერ მოუხერხებიათ. დამნაშავეთ დაეძებენ.

** **ანგარიში საქველ მოქმედო საღამოსი, რომელიც გამართული იყო განჯაში.** ბ-ნო რედაქტორო! უმორჩილესადა გთხოვთ ამ ჩემს ანგარიშს ადგილი მისცეთ თქვენს პატივცემულს გაზეთში.

ამ წლის 25 იანვარს, განჯელ ქართველობის თხოვნის თანახმად, მე გავმართე ქართული საღამო განჯის საზოგადო კრების სადგურში ქართველ მოსწავლე ახალგაზრდობის სასარგებლოდ. სრული შემოსავალი ამ საღამოდან იყო 1141 მან. 94 კაპ. ხარჯს გარდა დარჩა სულ 615 მან. 79 კ. და ეს ფული უკვე გაიგზავნა დანიშნულებისამებრ.

შემოსავლის მომეტებული ნაწილი შესდგა იმ კერძო პირთა შემოწირულებიდან, რომლებიც თითონ სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო აღნიშნულ საღამოს ორ დასწრებიან. ფული შემოსწირეს სახელდობრ: ჰაჯი ზეინალ აბდულ თაღიევმა 100 მან., მ. გ. არამიანცმა 50 მან., ა. ი. ადამოვმა 50 მ, ა. ი. ადამოვმა 25 მ., მ. ა. არაკელოვმა 25 მ., ბ. დოლუხანოვმა 10 მ., ნ. ანტონოვმა 10 მ., მ. ნ. შიხიევმა 30 მ., ს. ი. ყანჩელმა 5 მ., ნადირ ბეგ კესამინსკიმ 10 მ., ს. ბეჟანაშვილმა 10 მ., თავ. ჭავჭავაძემ 10 მ., კალაბეგოვმა 10 მ., ს. სარატიკ ოღლიმ 3 მ., ამილახვარმა 5 მ., მახარაძემ 3 მან., ალამალოვმა 3 მ., ელეფთეროვმა 3 მან., ჰუსეინოვმა 10 მან., ი. ჯანშიმ 3 მან., გვერდწითელმა 10 მან., ამირაჯიბმა 5 მ., ორლოვსკიმ 5 მან., ალი ალა ჯევანშირმა 15 მ., ბოლტონმა 10 მან., ბ. ზულგადაროვმა 10 მ., კ. ს. ხოჯამიროვმა 10 მ., ჰ. ადგეზალოვმა 15 მ., ა. ტერ-ასცატუროვმა 5 მ., თავ. აბაშიძემ 10 მ., ასად-ალა-ბაბა-ოღლიმ 5 მ., ა. [illegible] იუზბაშევმა 10 მ., ა. ნ. ჯაგატიანცმა 5 მან., ამირაჯიბმა 5 მ., ლ. პ. ბრონფილდმა 5 მან., დ. ჯევანშირმა 10 მან., მ. რუსტამბეგოვმა 15 მ., ფ. ვეზირიშვილმა 10 მ., რუსტამბეგოვმა 5 მ., დ. კ. უტუგაულმა 2 მ.

უღრმესს მადლობას ვუცხადებ როგორც ამ შემომწირველთ, აგრეთვე კაპიტანს ნაცვლიშვილს და არტისტებს ვ. აბაშიძეს და ნ. გაბუნია-ცაგარლისას იმ უანგარო მონაწილეობისათვის, რომელიც იმათ მიიღეს ჩემ მიერ გამართულ ქართულ საღამოში.

ალექსანდრა ყანჩელისა.

** **დ. ყვირილა. ისევ სამკითხველოს შესახებ.** წინა წერილში ჩვენ ის აზრი გვქონდა გამოთქმული, რომ ყვირილის მაღალი და დაბალი საზოგადოება გულ-გრილად ეკიდება სამკითხველოს საქმეს და არ თანაუგრძნობს-თქო. მის გამოსარკვევად, თუ რით აიხსნება ასეთი გულ-ცივობა საზოგადოებისა ამ კეთილის საქმისადმი, ჩვენ ყოველდღე მოველოდით წერილს ყვირილის სამკითხველოს რომელისამე წევრისაგან, მაგრამ ამის და მაგიერად იქიდგან ისეთი წერილები მოსდის „ცნ. ფურცლის" რედაქციას, რომელთა ავტორები უფრო მეტად უკიჟინებენ საზოგადოების გულ-გრილობას და კი არ უნდათ უფრო ღრმად ჩაუკვირდნენ ამ მოვლენას.

ყოველ მოვლენას თვისი მიზეზი აქვს. როგორიც დასაწყისია, ბოლოც ისეთივე მოსდევს. ნურავინ ნუ იფიქრებს, რომ ყვირილის საზოგადოებას არ ესმოდეს სამკითხველოს მნიშვნელობა და იმიტომ არ თანაუგრძნობდეს. არა, საზოგადოებას მშვენივრად ესმის ასეთის კეთილი საქმის მნიშვნელობა და კიდევაც შესაფერ თანაგრძნობას გაუწევდა მას, რომ სამკითხველოს საქმე ჯეროვან ნიადაგზედ იყოს დამყარებული. ჩემის წინა წერილის წინააღმდეგ ბ. გულშემატკივარს, (იხ. „ცნ. ფურც." № 167) მოყავს შემდეგი მაგალითი: „ამას წინად სურდა აქაურ ახალგაზრდობას და სცენის მოყვარე პირთ, გაემართად ქართული წარმოდგენა წიგნთ-საცავის სასარგებლოდ, მაგრამ საუბედუროდ, სხვა-და-სხვა მიზეზებისა გამო ნება-რთვა ვერ მიიღესო, განა ამას ხელის შეშლა არ ჰქვიანო." აღელვებულს და საკვირველს ბ ნ გულ-შემატკივარს, სიმართლე ფარდას ქვეშ დაუმალავს; ეტყობა სიმართლის გამომჟღავნება არ ესიამოვნება მას. ადამიანი იმდენად განუკითხავია, რომ თავის ნაკლულევანების და დანაშაულობის ბრალს ხშირად სხვას სდებს, ოღონდ თვითონ კი მართალი დარჩეს. აი როგორ გახლდათ საქმე: ტფილისის ზოგიერთმა აქტორმა, ადგილობრივ სცენის მოყვარეებთან ერთად, განაცხადეს სურვილი ყვირილის სამკითხველოს სასარგებლოდ წარმოდგენის გამართვისა. ტფილისის აქტორები ამ დროს ქუთაისისკენ მიემგზავრებოდნენ წარმოდგენისათვის და იქიდგან ამოსვლის დროს მზად უნდა დახვედროდათ ყოველივე. სცენის მოყვარეებმა-კი არ მიმართეს ადგილობრივ მთავრობას ნება-რთვის ასაღებად, თუმცა ამას მოითხოვდა კანონი და უბრალო ზრდილობაც. არ მიმართეს მისთვის, რადგანაც წარმოდგენის აფიშები ნება-დართული იყო არა ადგილობრივ მთავრობისაგან და თუ აქაც სჭირდებოდათ ნება-რთვის აღება,—ეს-კი არ იცოდნენ. გამოუცდელობამ უღალატათ. განა აქ გასამტყუნარია ვინმე—გარდა თვით მათი გამოუცდელობისა. რომ ეთხოვათ, კიდევაც ნებას დართავდნენ, რადგანაც ამისთანა მაგალითი ერთი არ ყოფილა და ორი. ტყუილებს ის არ სჯობია, რომ მართალი ვსთქვათ და აი მართალიც: ყოველ დაწესებულებას ეპირება რიგიანი მოთავე. იმას გარდა, რომ მოთავე გაცნობილი უნდა იყოს საქმესთან და შეეძლოს მისი გაძღოლა—აგრეთვე გაცნობილი, დაახლოვებული და რიგიანად დაკავშირებული უნდა იყოს საზოგადოებასთან და ოდნავ მაინც გავლენა ჰქონდეს. საზოგადოება დარწმუნებული უნდა იყოს საქმის გამგეთა პატიოსნებასა, ერთგულებასა და გულ-შემატკივრობაში. აგრეთვე აუცილებლად საჭიროა, რომ ყოველ საქმის გამგეთა საპატიო სახელი ანუ ღირსება ჰქონდეთ რითიმე, რომ საზოგადოებასა და გამგეთა შორის ნდობა იყოს, ურომლისოდ საქმე ვერ წავა რიგიანად. სამკითხველოკი ისეთი კეთილი დაწესებულებაა, რომელსაც საზოგადოების უნდობლად არ ძალუძს სასურველი ნაყოფი მოიტანოს. პრაქტიკა გვიმტკიცებს, რომ გამგეობას, მზრუნველობას და მოთაოებას აბარებენ და ანდობენ ისეთ პირს, რომელსაც გავლენა აქვს საზოგადოებაში და მისგანაც ღირსეული ყურადღება და პატივი აქვს დამსახურებული. ასეთს პირს შეუძლიან ყოველთვის რიგიანად წაიყვანოს მისდამი რწმუნებული საქმე, რადგანაც მის თხოვნას, მის სიტყვას და აზრს საზოგადოება პატივისცემით ეპყრობა და სწამს, რომ იგი რიგიანად და პირ-ნათლად გაუძღვება საქმეს, ვითარცა პატიოსანი და ცოდნით გამოცდილი კაცი. ხოლო რაც შეეხება ყვირილის სამკითხველოს გამგეთ, ნურას უკაცრავად, ისინი სრულებით ვერ აკმაყოფილებენ ზემო აღნიშნულს მოთხოვნილებას. აი, სწორედ ამით აიხსნება დღევანდელი ცუდი, არა სანატრელი მდგომარეობა სამკითხველოსი. ამიტომ საჭიროა, აქაურ სამკითხველოს ეხლანდელმა გამგეობამ და წევრებმა თავ-მოყვარეობა გვერდზედ გადადონ და ისეთ კაცებს ჩააბარონ სამკითხველოს გამგებლობა, რომელნიც ზემო აღნიშნულ პირობებს შეეფერებიან. აქიდგან ცხადად სჩანს, რომ მიზეზი სამკითხველოს დღევანდელ ცუდ მდგომარეობისა თვალწინ არის გადაშლილი. დღევანდელ გამგეობას არავითარი კავშირი, მისვლა-მოსვლა და დამოკიდებულება არა აქვს საზოგადოებასთან—არც დაბალთან, რადგან ეს უკანასკნელი არაფერს უჯერებს მას, როგორც მცირე წლოვანებს და არც მაღალთან, რომელთან მისვლაც ვერ გაუბედნიათ... გვიკვირს, რატომ ბ. გულშემატკივარმა არ აურჩია თვის ამხანაგებს, რომ მათ ერთად, სამკითხველოს განსაკურნათ, წამალი მოეძებნათ. განა არ იცის, ამ დალოცვილმა, რომ ავადმყოფს წამალი უნდა და არა მარტო გულ-შემატკივრობა? დიახ! გულ-შემატკივარო, ყოველ საქმეს კაცები უნდა მართავდნენ და არა კაცუნიები განაგებდნენ... როცა ეს მიზეზი არ იქნება, მაშინ ყვირილის სამკითხველოს საქმეც რიგიანად წავა, მანამ-კი საქმე საალალბედოა და თქვენი გულ-შემატკივრობაც ფუჭი და ამაო!..

პ. ჩხარელი.

** **სოფ. ახალშენი.** (გურია). **სამდურავი მასწავლებლისადმი.** ორ წელიწადზე მეტია, რაც ამ სოფელში არსებობს სამრევლო სკოლა, მაგრამ ძლიერ ღარიბია. ეს სკოლა, როგორადაც იცით, დააარსა ბ. კ. ჩხიკვაძემ, ხოლო იმ განზრახვით, რომ ახალშენში მკვიდრი მცხოვრებლები ზნეობრივ და ნივთიერ შემწეობის აღმოჩენას დაჰპირდნენ მას, მაგრამ ეს შემწეობა არ აღმოჩნდა. თუ იკითხავს ვინმე, რაა მიზეზი ამ კეთილის დაპირების აუსრულებლობისა, ისინი მასწავლებელზედ მიგითითებენ. ეს სამდურავი მასწავლებლისადმი არ არის საბუთს მოკლებული.

** **დუშეთი წერა-კითხვის უცოდინარობის ზედეგი.** დუშეთის მაზრაში საზოგადოდ სოფლებში თითქმის არც-კი არიან წერა-კითხვის მცოდნენი; თითო-ოროლას იშვიათად თუ შეხვდებით სოფლებში წერა-კითხვის მცოდნე გლეხს; ეს სამწუხარო გარემოება ნათლად გამოიკვლია უკანასკნელმა „საერთო აღწერამ".

რით ვერ შევიგნეთ, რომ ჩვენში ათას-ნაირ ჩარჩების და მძარცველთა გავრცელების მიზეზი ჩვენივე უვიცობაა; ფულს ვერ ვიცნობთ, წონას ვერ შევატყობთ და ანგარიში არ ვიცით; ასეთის ბნელით მოსილნი რომ მოგვატყუილონ, რა გასაკვირველია! განა ცოტანი დადიან ჩვენში ჩარჩები, რომელნიც სარგებლობენ სოფლელთა უსწავლელობით და გამოუცდელობით და ტყავს აძრობენ საცოდავთ! აი გავიხსენოთ თუნდა გუდამაყარის ხეობის გლეხთა განსაცდელი, რომელთაც ჩარჩებს ხარები მიჰყიდეს და ოცდა-ხუთ მანათიანების მაგივრად მყიდველებმა ახალი ხუთ მანეთიანები შეაპარეს; ან როგორც „ნოვ. ობოზრენიე" მოგვითხრობს წინამხარელი გლეხის ამბავი, რომელმაც ორი ფუთი კარაქი გაჰყიდა—თერთმეტ მანეთად ფუთი და ჩარჩმა ახალი ხუთ მანათიანი მისცა და სამი მანათი ხურდა გამოართვა ხუთი მანათი 25 მანათიანად გაუნაღდებია.

ვგონებთ, ასეთი მაგალითები საკმაოდ უნდა ჩაგვაფიქრებდეს და გაგვაფხიზლებდეს; დრო არის, ვიზრუნოთ და რაიმე ღონე ვიღონოთ ასეთი განსაცდელის თავიდან ასაშორებლად. რა თქმა უნდა, უპირველესი და უმართლესი საშუალება წერა-კითხვის გავრცელება და სწავლა იქნება.

** **ს. კარალეთი** (გორის მაზ.) **აქაური ამბები.** აგერ ორი წელიწადია, რაც ჩვენ სოფელში ადგილობრივმა მებატონემ დააყენა მეცხვარე ოსები და საბალახეთ მისცა საძოვარი ადგილები. მეცხვარეებს ცხვარი ეყენათ მებატონეს მამულზედ, და ბინათ სოფელში იდგნენ. მეცხვარე ხუთიოდ კაცი იყო, ესენი ისე გაშინაურდნენ სოფელში, რომ ყველა მეკომურის ციცხვი-კოვზიც კი ისწავლეს, სად ინახებოდა და დაიწყეს ჩუმ-ჩუმათ ქურდობა. სოფელმა ვერ გაუგო პირველად, მაგრამ დიდ-მარხვის უკანასკნელ კვირაში, როცა ბევრი მეოჯახე გამოეთხოვა შინაურ ავეჯს ღვინოს და პურს, დაუწყეს ქურდებს ძებნა და სოფლის ახლო ჰალაში კი იპოვნეს ყოველივე ნაქურდალი, სადაც ქურდი ოსები შემოსხდომიყვნენ ჩვენებურ მოპარულ ღვინოს, ლორებს და შეექცეოდნენ და „რირავაშას" გიძახოდნენ. სოფელი გამწარდა და კინაღამ უბედურება დატრიალდა, რადგან ოსები გაქცევას ეპირობდნენ, მაგრამ შებოჭეს ყველანი და სამართალს გადასცა მამასახლისის თანაშემწემ, გიგა გოგიაშვილმა.

მშვენიერი დარიანი ზამთრის წყალობით ვენახის მუშაობა თითქმის მოთავებულია. ჯეჯილებს კარგი პირი უჩანს, ღვთის მადლით. ღვინის ფასმა ძრიელ აიწია, კოკა 8—9 მანეთამდე იყიდება, რომელიც ამ ორი თვის წინად 5—6 მანეთში გადიოდა. საქმე ის არის, რომ ახლა ბევრს აღარ მოეპოვება. ვერც არა მთავრობის განკარგულება, რომ სოფლის ნებადაურთველად დუქნის გახსნა არ შეიძლება, ვერც არა ვისიმე მეცადინეობა ჩვენებურ მედუქნეებს გზას ვერ უკრავს. თუ აქამდე სამი დუქანი იყო, ახლა ხუთათა ხდება. თუმცა სასკოლო სახლიცა გვაქვს, სწავლა-ცოდნის მიღებაც გვსურს, მაგრამ ჩვენი პატრონი არსაით არა სჩანს. რა მოგველის, თუ ასე ბევრს ხანს გასტანა ჩვენი სოფლის ვითარებამ! ეს ძველებური სოფელი, როდესაც მას ნაჭარმაგევი ერქვა და თამარ დედოფლის საზაფხულო სამყოფ ადგილად ითვლებოდა, ახლა დედა-მიწასთან გასწორდება და მისი გამობრუნება ადვილი აღარ იქნება.

მხე-ქაბუკი.

## სასამართლოს მატიანე.

ძვირფასის პალტოს დაკარგვა. ამას იქით კაცი რომ სტუმრად წავიდეს სადმე, უნდა მასპინძელს პირობის ხელწერილი ჩამოართვას, რომ მას თან მოჰქვა პალტო, კალოშები, ქუდი და ჩოლგა. სასაცილოა ასეთი ხელ-წერილი, მაგრამ საჭირო-კი ყოფილა.

ამას წინად პეტერბურგში ბატონმა კანევსკიმ გამართა დიდი მეჯლისი და მრავალი ხალხი მოიწვია. სტუმართა შორის იყო ვინმე კორობკოვიც. აი ეს ბატონი გამოეთხოვა სტუმართ-მოყვარე მასპინძელს და დაემზადა შინ წასასვლელად. ნახეს: აღარსად იყო მისი ძვირფასი პალტო, ღირებული 400 მანათად. აქეთ ეძებეს იქით,—არ არის, ცამ ჩაყლაპა.

მასპინძელიც, რასაკვირველია, ძრიელ დაღონდა და ბოლოს იმით ანუგეშა სტუმარი, რომ შეაძლია პალტოს ღირებულობის ნახევარი ესე იგი ოცი თუმანი.

ბ. კორობკოვი არ დასჯერდა ოცს თუმანს და იჩივლა მომრიგებელ მოსამართლესთან. სასამართლოში წააგო საქმე. უთხრეს: პირობის წერილი თქვენ შორის არა ყოფილა და მასპინძელიც, მაშასადამე, მოვალე არ არის გიზღოს პალტოვო.

განცვიფრებულმა კორობკოვმა საქმე გადაიტანა ოლქის სასამართლოში. დამცველი კორობკოვისა, ნაფიცი ვექილი ხესინი, ამტკიცებდა, რომ ყოვლად შეუძლებელია ყოველმა სტუმარმა პირობის წერილები ჩამოართვას მასპინძელსაო, მაშინ ყოველის სახლის კარებში ნოტარიუსის კანტორა უნდა გამართოსო.

ოლქის სასამართლომ შეიწყნარა დამცველის საბუთები და გადასწყვიტა: გამოერთვას ბ. კანევსკის პალტოს საზღაურად 410 მანათი სასარგებლოდ ბ—ს კორობკოვისა.

მოდი და ამას იქითაც ნუ გაფრთხილდებიან მასპინძლები!

⁂

მეორე საყურადღებო საქმეც გაირჩა პეტერბურგში.

ვინმე ივანოვს, გლეხს, დაეგირავებინა სახელმწიფო ბანკში ორი მოგების ბილეთი სახელმწიფოვე ბანკისა 315 მანათში. ამ ივანოვმა სთხოვა თავისს ნაცნობს გლეხს კორობიოვს, გამოიყიდე ჩემი ბილეთები და შენ მოგცემ გირაოდ იმ ფულში, რომელიც შენი [illegible] მმართებსო.

კორობიოვმა დაიჯერა. შეიტანა ბანკში 315 მანათი, ხოლო ბილეთები, რადგან სახელდებულნი იყვნენ, დაუბრუნეს ივანოვს. ივანოვმა აშა ჭკრა და აღარ გადასცა კორობიოვს ბილეთები: ვინა ხარ, საიდგან მოთრეულხარო!.

დაიწყო საქმე სისხლის სამართალში. ივანოვს უჩივლეს და დააბრალეს ყალბობა, ავ-კაცობა და 1666 სტატიის ძალით სასამართლომ გადაუწყვიტა ყოველისავე ღირსების ახდა და სატუსაღოში დაპატიმრება.

ამ რიგად სამართლემ გაიმარჯვა და ბოროტი დაისაჯა. ივანოვმა მოატყუა კაცი და სამართალმა კიდევ სასტიკად დასაჯა. მაგრამ... სენატმა, სადაც საქმე გადიტანა ივანოვმა, სულ სხვა თვალით შეჰხედა ამ საქმეს. 1666 სტატიას სენატმა უპოვა სხვა მუხლი კანონისა და დაარღვია განაჩენი ოლქის სასამართლოსი და მის მიერ მისაჯული სასჯელიც.

ივანოვის საქციელში „დანაშაული“ არა სჩანსო.

არ მიცემა დაპირებულის ფულისა არის არ-ასრულება სამოქალაქო კანონების მიერ დადგენილ პირობისა და არ შეეხება სრულებით სისხლის სამართალსაო. აქ არც ყალბობა არის, არც აგ-კაცობა. დაჰპირდა და აღარ მისცა. გორობიოვმა-კი უნდა ეძიოს დაპირებული კანონიერის გზითაო.

თვით ნამნაშავეს გაუკვირდა ასეთი გადაწყვეტილება სენატისა, რადგან არ მოელოდდა გამართლებას, ვინაიდგან თვით ყველაზე კარგად ჰგრძნობდა თავისს დანაშაულს ამხანაგისადმი.

## სამეცნიერო ცნობა

ლოთობასთან ბრძოლა საფრანგეთის სკოლებში. მაგარი სასმელების ხმარებას უმთავრესად ახალ-გაზდობაში, საფრანგეთი მედგრად ებრძვის. სასწავლებლებში კედლებზედ ჩამოკიდულია სურათები, რომლებზედაც დახატულია ყველა ის, რაც ნათლად გვიყენებს თვალ-წინ სასმელების ხმარების შედეგს. დახატულია კაცი სასმელების ხმარებამდის და მის შემდეგ, ეგრეთვე მოშხამული კუჭი, გული, ტვინი და სხვ. შემდეგ ნაჩვენებია ბუნებრივი მარგებელი სასმელები და სხვა და-სხვა მაგარი სასმელები, რომელშიაც მრავლად არის ესრედ წოდებული ალკოგოლი, შხამი. ექვს ნახატზედ ნაჩვენებია მოკლე ახსნით, თუ როგორ მოქმედობს ზღვის ღორებზედ და სხვა ცხოველებზედ ალკოგოლი. მეორე გვერდზედ მოთავსებულია ოთხი პატარა ესკიზი წარწერით: ღონის დაკარგვა, გულის სიკეთისა, კაცობრიული ღირსებისა და გონებისა. ამასთანავე ნახატებთან მოთავსებულია ყველა ის, რაც-კი თქმულა სასმელების მავნებლობაზედ. აი ზოგიერთი მათგანი: „ვინც ყოველ დილით თითო ჭიქა არაყსა სვამს, ის უთუოდ მოიშხამება. სასმელები, რომელნიც ვითომ და მადას გვილვიძებენ, პირიქით, გვიხშობენ მას; ალკოგოლი ისეთი შხამია, რომელსაც ყოვლის ღონისძიებით უნდა ვერიდოთ. ლამენემ სთქვა: „იცით რასა სვამს ის კაცი იმ ჭიქიდამ, რომელიც ხელში უცახცახებს? ისა სვამს ცრემლებს და სისხლს თავისის ცოლ-შვილისას“. „სასმელი შრომას გვაძულებს და სიღარიბეს კარზედ გვაყენებს“. „უმრავლესი დამნაშავეთაგანნი თითქმის სულ ლოთები არიან“. ორმოცი წლის მსმელი კაცი 70 წლისაზედ უფრო მოხუცი გგონიათ. $^1/_3$ სულით ავადმყოფთა ლოთები არიან. 100 მკვდარ კაცთაგან 20 მარტო სასმელით არის მოკლული. ასეთი ხერხი ყველა სხვა საშუალებაზედ უკეთესად ჰმოქმედებს შეგირდებზედ, მით უმეტესად, თუ მასწავლებელი სარგებლობს მისით და ზოგიერთჯერ უთითებს ხოლმე მოსწავლეთ.

## წვრილი ამბავი

არითმეტიკის გენიოსი. ერთი ახალგაზდა ფრანგი ჟაკ ინოდი აკვირვებს სწავლულთა და მეცნიერთ თავისის განუზომელის და განუსაზღვრელის არითმეტიკულის ნიჭით. ეხლახან ვენაში აჩვენა საზოგადოებას თავისი ხელოვნება ანგარიშში. თეატრის ზალა სავსე იყო განათლებულის ხალხით. ჟაკ ინოდი მსწრაფლად გაანაწილებდა ხოლმე სამს, ოთხს, ხუთს და ექვს თანაბარ რიცხვებად ისეთს დიდს რიცხვს, რომელიც შესდგებოდა ოცისა და ოცდახუთის ციფრისაგან. თექვსმეტ ციფრიან რიცხვებს უცებ გაამრავლებდა. როდესაც ამ ანგარიშში იყო გართული, გზა და გზა სხვა ამოცანებსაც აკეთებდა; მაგალითებრ, ჰკითხავდა ვისმე: თქვენ რამდენის წლისა ხართ? რა მიიღებდა პასუხს, ხელად ეტყოდა: თქვენ დაბადებულხართ ამა და ამ წელს, ამა თუ იმ თვეში, ამა და ამ დღეს. ეტყოდა და თვით განაგრძობდა პირველს ანგარიშს.

ჟაკ ინოდი ერთსა და იმავე დროს შვიდსა და რვა ამოცანას ერთად აკეთებდა.

—

შეურაცხყოფილი დეპუტატი. საფრანგეთის ქალაქს პუატუში სიტყვა უნდა წარმოეთქვათ დეპუტატთა შოვენს და კლოვის გიუგს. დარბაზში 1500 კაცზე მეტმა მოიყარა თავი. როდესაც კათედრაზე ავიდა კლოვის გიუგი და აპირებდა ლაპარაკს—ვიღამაც ხმა-მაღლა დაიძახა: „შორს ჩვენგან პანამელებიო!“ გიუგმა ეს შეურაცხყოფად მიიღო და შესძახა თავის ამხანაგს: «შოვენ, მომეცი ჩემი დანა, უნდა მოვკლა ეს ცილის მწამებელიო»! და გაექანა შეურაცხმყოფელისაკენ, მაგრამ საზოგადოებამ ბედზე გადაარჩინა გაბრაზებულ დეპუტატის კლანჭებისაგან მოურიდებელი პანამელთა მტერი.

—

რა ამბებში არიან ქალები ამერიკაში. ამ ბოლო დროს ამერიკელი ქალები დიდს ამბებში არიან. წარმოიდგინეთ, ქ. ჩიკაგოში ერთ ებრაელ ქალს სინაღოღაში საუცხოვოდ შეუსრულებია რაბინის მოვალეობა. დიდძალი ხალხი დასწრებია და ყველანი გაკვირვებულან ქალის მღვდელმსახურებისაგან.

—

ევროპაში რამდენი კაცი იკლავს თავს ყოველ წლივ? 60,000 კაცი იკლავს თავს ყოველ წლივ ევროპაში; ამათში 2000 მცირე წლოვანებია. უმეტეს შემთხვევებში თავს იკლავენ ხოლმე ლოთობის გამო. ლონდონის ერთს გაზეთში დოქტორი ვინსლოუ სწერს, რომ მამაკაცები ხშირად ლოთობისა და „ოჯახის უბედურობის“ გამო იკლავენ თავს, ხოლო დედა-კაცნი-კი უმეტეს შემთხვევაში «უიმედო სიყვარულისა“ და „თავ-მოყვარების შებღალვის“ გამო იკლავენ თავსაო. ასე რომ 7000 შემთხვაში უიმედო სიყვარულის გამო 97 მამაკაცს და 157 ქალს მოუკლავთ თავი, ხოლო „თავ-მოყვარების შებღალვის» გამო—122 მამაკაცსა და 410 დედა-კაცს.

## საღამოს დეპეშა

18 აპრილი

**პეტერბურგი**. 17 აპრილს, საღამოს 10 საათზედ, ავსტრიის იმპერატორი ფრანც-იოსები ერცჰერცოგ ოტტონითურთ ვარშავის რკინის გზით უკან დაბრუნდა. რკინის გზის სადგურში შეიკრიბნენ ხელმწიფე იმპერატორი და დიდნი მთავარნი. ავსტრიის იმპერატორს კექსგოლმის პოლკის მუნდირი ეცვა, ერცჰერცოგ ოტტოს დუბენსკის პოლკისა. ხელმწიფეების ერთი მეორესთან გულითად გამოთხოვების შემდეგ, ავსტრიის იმპერატორი ვაგონში შებრძანდა, და მატარებელი დაიძრა

**კონსტანტინეპოლი.** მოსულმა „ლლოიდის“ კაპიტანმა ამბავი მოიტანა, რომ დარდინელში ოსმალეთის სამი სიმარი და ერთი ფალმიანი გემი დაიმსხვრაო. ოფიციალური ცნობა არ მიუღიათ.

„საბახი» იუწყება. რომ ტრიკადგან ბერძნები გაიქცნენ და ვმიასლარში ორი საციხოვნე ზარბაზანი დასტოვეს, რომელნიც დარისაში იქმნა მოტანილი.

**ათინა**; დედიანის ჟურნალისტისათვის უპასუხნია, რომ კაბინეტი სამსახურიდგან გადადგომას არ ჰფიქრობსო; ის მხოლოდ მაშინ დაანებებს სამსახურს თავს, როცა პალატა განუცხადებს, რომ აღარ გენდობიო.

**იან მონი.** «Dailu Telegraph„-ს ათინადგან დეპეშით ატყობინებენ (მოციქული) გაჰგზავნეს ვოლოს თეთრის ბაირაღით, ქალაქის მკვიდრნი რო დაარწმუნოს, რომ იმათ არავითარ ზიანს არ მიაყენებენ.

„Temes“-ს დარისიდგან აცნობებენ, რომ ტახტის მემკვიდრე ბატონიშვილი კონსტანტინე ქალაქიდგან ყველაზედ და ბოლოს გავიდაო.

**კონსტანტინეპოლი.** ელჩებს კრება ჰქონდათ. რუსეთმა, საფრანგეთმა და ინგლისმა თავისის მფარველობის ქვეშ მიიღეს კონსტანტინეპოლსა და დაბა-ქალაქებში მცხოვრებნი საბერძნეთის მართმადიდებელნი ქვეშევრდომნი,

სერბიის ელჩი, ვერ მიიღორა კმარყოფელი პასუხი მაკედონიის სასწავლებლის და უსკიუბის მიტროპოლიტის ამბროსის დაუყოვნებლივ სამსახურიდგან გადაყენების შესახებ, ბელგრადს წავიდა· პორტამ იმავე დღეს აცნობა სერბიელთ. რომ ხონთქრის ირადეთი სასწავლებლების საქმე ჩქარა გარდაწყვეტილ იქმნება და ამბრიის ადმინისტრატიულის საშუალებით გაძევებულ არისო.

ჰგაზი-ოსმან ფაშა სადანიკში; ავად არის.

* * *

### ამიერ კავკასიის რკინის გზა.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № 1 გადის დილის 9 ს. 30 წ. მიდის ბათომში საღ. 9 ს. 45 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 2 გადის ღამის 10 ს. 50 წ. მიდის ბაქოში საღ. 4 ს. 49 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 2 გადის დილის 9 ს. 40 წ., მოდის თბილისში საღამოს 9 ს. 55 წ.

ბაქოდგან—თბილისში მატარებელი № 1 გამოდის დღისით 2 ს. 30 წ. მოდის თბილისში საღამოს 8 ს. 1 წ.

თბილისიდან—ბათომში მატარებელი № გადის საღამოს 6 ს. 50 წ. მიდის ბათომში დილის 8 ს. 15 წ.

ბაქოდან—თბილისში მატარებელი № 3 გამოდის ღამის 11 ს. 5 წ. მოდის თბილისში 5 ს. 50 წ.

ბათომიდან—თბილისში მატარებელი № 4 გამოდის ღამის 11 ს. 20 წ., მოდის თბილისში შუადღის 12 ს. 25 წ.

თბილისიდან—ბაქოში მატარებელი № 4 გადის ნაშუადღევის 1 ს. 10 წ. მიდის ბაქოში 7 ს. 30 წ. დილით.

გამოვიდა და იყიდება საქართველოს ყველა წიგნის მაღაზიებში
ვალერიან გუნიას
შედგენილი და გამოცემული
საქართველოს კალენდარი
1897 წ.



✦ კალენდარი ღირს 50 კაპ., ყდით 60 კაპ. ✦
უმთავრესი საწყობი გამომცემელთან: ტფილისი, ფრეილინის ქ. № 13.

ამ წიგნში წინ ჩაკერებულია სურათები, სახელდობრ: „საქართველოს კალენდრის“ ალბომი 1—48 გვ.

წიგნი შეიცავს 566 გვერდს დიდის ზომისას, რომელშიდაც მოთავსებულია სხვა-და-სხვა მრავალ საკალენდარო, სასარგებლო და საჭირო ცნობათა გარდა სალიტერატურო ნაწილიც. კალენდარი დასურათებულია 78 ნახატით.

XIII годъ изданія. ПРОДАЛЖАЕТСЯ ПОДПИСКА на 1897 г. XIII годъ изданія

ВОКРУГЪ СВѢТА

на еженедѣльный иллюстрированный журналъ путешествій и приключеній на сушѣ и на морѣ.

въ теченіе года подписчики получатъ
50 №№ еженедѣльныхъ иллюстрирован. содержаніе которыхъ составляютъ романы, повѣсти, путешествія, популярно-научныя статьи и многочисленные рисунки.

БЕЗПЛАТНО
12 ТОМОВЪ иллюстрированныхъ знамен. художн.: Эмилемъ Баяромъ, Невилемъ, Ріу и другими, и содержащихъ въ себѣ собраніе сочиненій
ЖЮЛЯ ВЕРНА.

Собраніе это будетъ состоять изъ 12 томовъ большого формата, и въ него войдутъ восемь слѣдующихъ романовъ, переведенныхъ съ полныхъ французскихъ изданій безъ всякихъ измѣненій и сокращеній:

1. „80,000 верстъ подъ водою“ 2 т.
2. „Дѣти капитана Гранта“ 2 тома.
3. „Таинственный островъ“ 3 тома.
4. „Воздушный корабль“.
5. „Зеленый лучъ“.
6. „Вокругъ свѣта въ 80 дней.
7. „Вверхъ дномъ“.
8. Путешеств. къ центру земли.

Кромѣ того подписчики, при доплатѣ 1 р., получатъ → 2 РОСКОШНЫЯ ПРЕМІИ, состоящія изъ 2-хъ художествен. картинъ (олеографій). Картины, размѣромъ 20¹/₂ вер. въ длину и 13¹/₂ вер. въ ширину, исполнены въ артистическомъ заведеніи бр. Кауфманъ въ Берлинѣ съ оригиналовъ художника Кондратенко.

1) Южный берегъ Крыма. съ видомъ Ялты.
Оригиналы этихъ картинъ спеціально заказаны для премій 1897 года.
2) Видъ Днѣпра у Кіева.

Подписная цѣна на журналъ остается прежняя.

НА ГОДЪ съ собран. соч. Жюля Верна съ доставкою и пересылкою 4 р.
Допускается разсрочка: при подпискѣ 2 р., къ 1-му апрѣля и 1-му іюля по 1 р.—За премію—при послѣднемъ взносѣ.

АДРЕСЪ РЕДАКЦІИ: Москва, Валовая ул., д. Т-ва И. Д. Сытина.
Кромѣ того подписка принимается: во всѣхъ книжныхъ магазинахъ Москвы, Петербурга и другихъ городовъ Россіи.
Всѣ новые подписчики получатъ журналъ съ 1-го №.
Журналъ издается Высочайше утвержденнымъ Т-вомъ И. Д. Сытина.
(4—3)

Большая общественно-политическая газета
РУСЬ
(первое изданіе, выходитъ съ 19 февраля)
съ ежедневными иллюстраціями изъ текущей жизни.
Подписная цѣна:

| | на годъ | 11 м. | 10 м. | 9 м. | 8 м. | 7 м. | 6 м. | 5 м. | 4 м. | 3 м. | 2 м. | 1 м. |
|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|---|
| | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. | р. к. |
| Безъ доставки | 14 — | 13 — | 12 — | 10 50 | 9 50 | 8 50 | 8 — | 6 50 | 5 — | 4 — | 3 — | 1 50 |
| Съ достав. въ Спб. | 16 — | 15 — | 13 50 | 12 — | 11 — | 10 — | 9 — | 8 — | 6 50 | 5 50 | 4 — | 2 — |
| Съ пересылкой | 17 — | 15 50 | 14 50 | 13 50 | 12 50 | 11 50 | 10 — | 8 50 | 7 — | 5 50 | 4 50 | 2 — |
| За границу | 21 — | 20 50 | 20 — | 19 — | 18 — | 17 — | 15 — | 13 — | 10 — | 7 — | 5 — | 3 — |

Объявленія лицъ, ищущихъ личнаго труда, въ первомъ изданіи «Руси» печатаются безплатно.
Контора: С.-Петербургъ, Невскій, 8. Телефонъ № 2096.
Пріемъ подписки и объявленій ежедневно, кромѣ праздниковъ, отъ 11 до 4 ч. дня.
Издатель В. П. Гайдебуровъ. За редактора В. С. Драгоміръцкій
(6—2)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 18 го Апрѣля 1897 г.
სტამბა მ. შარაძის და ამხ. ნიკ. ქ. № 21.
რედაქტორ-გამომცემელი ვალ. გუნია.